MEGANE ჰეჩბექი

www.renault.ge

www.facebook.com/RenaultGeorgia

3 წელი ბარანტია
100 000 კმ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს ზუსტ ინფორმაციას სტამბაში მისი გადაცემის თარიღისთვის. პროდუქციის მუდმივი სრულყოფის პოლიტიკის შესაბამისად, Renault - ს ჯგუფი უფლებას იტოვებს ცვლილებები შეიტანოს აღწერილი და წარმოდგენილი ავტომობილების და დამატებითი აღჭურვილობის ტექნიკურ მახასიათებლებსა და კონსტრუქციაში. ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების შესახებ უმოკლეს ვადებში გადაეცემა Renault - ს ჯგუფის ოფიციალურ წარმომადგენლებს. ბეჭდვითი პროცესის შეზღუდულობის გამო, მოცემულ გამომცემლობაში წარმოდგენილი ძარის და სალონის მოპირკეთების ფერები შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდნენ რეალობისგან. სააგტორო უფლებები დაცულია. წინამდებარე პუბლიკაციის სრული ან ნაწილობრივი ასახვა ნებისმიერი ფორმით და ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით აკრძალულია, Renault –ს ჯგუფის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

RENAULT QUALITY MADE

MEGANE ჰეჩბექი

DRIVE THE CHANGE

RENAULT

რენოს
115 წლის ისტორია

1898 – 1913 დასაწყისი



1919 – 1928
ხმაურიანი ოციანი წლები



1929-1938
ინოვაციების ხანა



1939 – 1944
გაურკვევლობის წლები

1945-1959, ექსპანსია

1960-1973
მშვიდობა. სიყვარული, რენო

1974 – 1985
რბოლა მომავლისკენ

1986 – 1991 ტურბოს წლები

1992 – 1998 კვლევა და დიზაინი

1999 – 2013 გლობალური გუნდი

115 წლის განმავლობაში, რენომ დაწერა და ხელახლა გადაწერა საავტომობილო ისტორია, ამატებდა რა ყოველთვის საინტერესო თავს. სიჩქარეების კოლოფი, სედანი. ტურბო ჩარჯერი. ჰეჩბექი. MPV. ინოვაციები, რომლებმაც არა მხოლოდ შეცვალეს მსოფლიოს გადაადგილების საშუალება, არამედ მსოფლიოს შეხედულება ავტომობილის შესახებ.

30 წელზე მეტი ხანია რაც რენო აფართოებს საავტომობილო სპორტის ტექნოლოგიების ფარგლებს. 2012 წლის ფორმულა ერთის სეზონზე რენომ გაიმარჯვა კონსტრუქტორთა მე -11 ჩემპიონატში. Red Bull Racing-ის გამარჯვებამ ორი მომდევნო წლის განმავლობაში ქართველ ავტომოყვარულებსა და F1 გულშემატკივრებს შორისაც გამოიწვია დიდი გამოხმაურება.

პორტფოლიოში არსებული დახვეწილი და თანამედროვე ავტომობილებით რენო საქართველოს ბაზარზე უკვე 10 წელია ძალიან წარმატებულია. ფაქტი, რომელიც გამყარდა მზარდი სადილერო ქსელით და მომხმარებელთა მზარდი ბაზით.

გარანტია

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს მიერ წარმოებული ავტომობილების ხარისხში, სწორედ ამიტომ, გთავაზობთ გარანტიას გამოყენების სამ წელიწადზე ან 100 000 კმ გარბენზე (რომელიც პირველი შესრულდება).

ზრუნვა თქვენს ავტომობილზე

ყურადღება მძღოლის მიმართ

თქვენი RENAULT SERVICE!

RENAULT Service - წარმოადგენს პროფესიონალურ სერვისს და ყურადღებიან დამოკიდებულებას თითოეული კლიენტის მიმართ. უსაფრთხოება, საიმედოობა და მობილურობა წარმოადგენენ Renault-ს სერვისის ქსელის მუშაობის მთავარ პრინციპებს.

უკვე 115 წელია, რაც ჩვენ ერთი და იმავე პრინციპით ვხელმძღვანელობთ: იმისათვის რომ არ ჩამორჩეს დროს, ავტომობილი უნდა იყოს პროგრესის და პასუხისმგებლობის სიმბოლო. იგი უნდა იყოს შთაგონების წყარო და მოქონდეს გადაადგილების ბედნიერება თითოეული ადამიანისთვის.

საუკუნეზე მეტია, რაც Renault ფეხდაფეხ მიყვება საზოგადოებრივ განვითარებას. კომპანია აყალიბებს უპრეცედენტო ურთიერთკავშირს მყიდველებთან და მათ ოჯახებთან, ეყრდნობა რა მარტივ იდეას: საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებისთვის, ავტომობილი უნდა იყოს პრაქტიკული, საიმედო, უნდა ესადაგებოდეს მფლობელის ცხოვრების წესს და ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. ამ მრავალფეროვან სამყაროში ჩვენ ყოველთვის გვახარებს სიახლე და ახალი აღმოჩენები. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე, ჩვენ გავზარდეთ გარანტია ავტომობილებზე 3 წლამდე ან 100 000 კმ გარბენამდე (რომელიც პირველი შესრულდება). ჩვენი რწმენით, სამყარო არ უნდა ესადაგებოდეს ავტომობილს, პირიქით, ავტომობილი უნდა მიესადაგოს სამყაროს.

DRIVE THE CHANGE

ᲰᲔᲩᲑᲔᲥᲘ RENAULT MEGANE

ᲡᲢᲘᲚᲘᲐᲜᲘ,
ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ,
ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ.

ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ
ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲗ.



მიზანმიმართულობა
და ექსპრესიულობა,
შეგრძნებათა უნიკალური გამა

ჰეჩბექი Renault Megane მოგანიჭებთ უამრავ დადებით ემოციას. თქვენ იგრძნობთ მანქანის მართვის სიამოვნებას გაუმჯობესებული უკუკავშირის, ავტომობილის რეაქციის სისწრაფის, მანევრირების უნარის და საჭის რგოლის დატრიალების მიმართ მგრძნობელობის წყალობით. ჰეჩბექი Renault Megane შესანიშნავად იჭერს გზას, იგი სრულად დააკმაყოფილებს თქვენს სურვილს,ცვლილებები შეიტანოთ გარემოში.

გამორჩეული
უსაფრთხოება ყველასათვის

ბაზრის მოთხოვნების და კლიენტების მოლოდინის პასუხად, ჰეჩბექი Renault Megane უზრუნველყოფს მაღალი დონის დაცვას მძღოლისა და მგზავრისთვის, პასიური და აქტიური უსაფრთხოების უმაღლესი დონის კონცეფციის გამოყენებით:

- ABS, გაუთვალისწინებელი დამუხრუჭებისას დახმარების და კურსის მდგრადობის სტაბილიზაციის (ESP) სისტემები უზრუნველყოფენ ავტომობილზე კონტროლის შენარჩუნებას რთულ პირობებში, მაგალითად მოცურების საფრთხის შემცველ გზაზე;
- ახალი, მაღალეფექტური სამუხრუჭე სისტემა ახდენს მძღოლის რეაქციის ოპტიმიზაციას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დამუხრუჭების პროცესის ხანგრძლივობას და კონკურენტებს შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე მოკლეა;
- დარტყმის წინა და უკანა სენსორები;
- მძღოლის და მგზავრის ფრონტალური უსაფრთხოების ბალიშები, გვერდითი უსაფრთხოების ბალიშები და დარაბები;
- წინა უსაფრთხოების ღვედების წინასწარი მომჭიმები, უკანა უსაფრთხოების ღვედების მოჭიმვის მზღუდავები და ინდიკატორები, რომლებიც ღვედის შეკვრის აუცილებლობას შეგახსენებენ;
- სიმაღლის და დახრის მიხედვით რეგულირებადი ტრავმების საწინააღმდეგო თავის მისაყუდებლები უზრუნველყოფენ თავის საიმედო დაცვას;
- საბავშვო სავარძლების სამაგრი სისტემა Isofix უკანა გვერდით სავარძლებზე.

ძრავები

1,6 ლ 16 კლ. 106 ლ. წმ.; 2,0 ლ 16 კლ. 138 ლ. წმ.
ძრავი შემყვანი სარქველების გაზის გადანაწილების ფაზების ცვლილებით გამოირჩევა მაღალი სიმძლავრით და ბრუნვითი მომენტის კომფორტული მახასიათებლით.

1,6 ლ 16 კლ. მექ.5



1,6 ლ 16 კლ. ავტ.4



2,0 ლ 16 კლ. მექ.6



2,0 ლ 16 კლ. CVT



——— სიმძლავრე - - - - - - ბრუნვითი მომენტი

1. 5 - საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი
ამძრავი გვარლი უზრუნველყოფს გადაცემების მსუბუქ და ზუსტ გადართვას.

2. განახლებული 4-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი ხელით გადართვის შესაძლებლობით
ახდენს გადაცემათა გადართვის ოპტიმიზაციას უფრო თანაბარი მართვისა და აჩქარების დინამიკის შეგრძნებისთვის.

3. ვარიატორი (CVT)
გადაცემების ურთიერთდამოკიდებულების შეუფერხებელი ცვლილება უზრუნველყოფს კომფორტის მაღალ დონეს სიმძლავრის ნაკადის უწყვეტობის წყალობით, რაც ერთდროულად აუმჯობესებს ეკონომიურობის, ტოქსიკურობის და აკუსტიკური კომფორტის მაჩვენებლებს.

3



ტექნიკური მახასიათებლები

ძრავი, ლ	1,6		2,0
გადაცემათა კოლოფი	მექ. 5	მექ.5/CVT	CVT(ვარიატორი)
ადგილების რაოდენობა		5	
ძრავი			
საწვავი		ბენზინი	
ტქოსიკურობის ნორმა		ევრო–4	
სამუშაო მოცულობა, სმ3	1598		1997
ცილინდრის დიამეტრი x დგუშის სვლა, მმ	79,5 x 80,5		84 x 90,1
ცილინდრების / სარქველების რაოდენობა		4/16	
მაქსიმალური სიმძლავრე ЕЭС ნორმების მიხედვით კვტ. (DIN–ის მიხედვით ლ. წმ) / მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირისას, ბრ/წთ	78 (106) / 6000		101 (138) / 6000
მაქსიმალური ბრუნვითი მომენტი ЕЭС ნორმების მიხედვით H*M / მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირისას, ბრ/წთ	145 / 4250		190 / 3700
შესხურების ტიპი		მრავალწერტილიანი	
საჭის მართვა			
საჭის მართვის გამაძლიერებელი		ადაპტირებადი ელექტროგამაძლიერებელი	
მოხვევის დიამეტრი, მ		11,1	
საჭის რგოლის ბრუნების რაოდენობა უკიდურეს მდგომარეობებს შორის		3,1	
საკიდარი			
წინა საკიდარი		„მაქ–ფერსონი“ სამკუთხედი ბერკეტებით	
უკანა საკიდარი		ძელი დაპროგრამებული დეფორმაციით	
ბორბლები და საბურავები			
საშტატო ზომა 15" დაშტამპული დისკებისთვის		205/65 R15 94H	
საშტატო ზომა 16" დაშტამპული დისკებისთვის		205/60 R16 92H	
საშტატო ზომა საბაზისო მსუბუქი შენადნობის დისკებისთვის		6,5 J 15	
სამუხრუჭე სისტემა			
წინა ვენტილირებადი სამუხრუჭე დისკების დიამეტრი, მმ		280	
უკანა სამუხრუჭე დისკების დიამეტრი, მმ		260	
დინამიკური მახასიათებლები			
მაქსიმალური სიჩქარე, კმ/სთ	183	180	195
აჩქარების დრო 0–100 კმ/სთ	11,7	13,9	10,1
მანძილის დაფარვის დრო 1000მ ადგილიდან, წმ.	33,2	35,2	31,7
საწვავის ხარჯვა			
ქალაქის ციკლში, ლ/100კმ	5,4	5,8	6,2
ქალაქგარეთ ციკლში, ლ/100კმ	8,8	10,6	10,5
შერეულ ციკლში, ლ/100კმ	6,7	7,5	7,8
გამონაბოლქვი CO2, გ/კმ	159	180	185
საწვავის ბაკი, ლ		60	
მასის მახასიათებლები			
მასა აღჭურვილობით, კგ	1255	1288	1318
მაქსიმალური დასაშვები მასა, კგ	1720	1755	1780
სასარგებლო დატვირთვა, კგ	500	502	497
მაქსიმალური ნებადართული მასა ბუქსირებისას სამუხრუჭე სისტემით, კგ	1055	1300	1300
მაქსიმალური ნებადართული მასა ბუქსირებისას სამუხრუჭე სისტემის გარეშე, კგ		650	
მაქსიმალური ნებადართული მასა მისაბმელით, კგ	2775	3055	3080
საბარგულის მოცულობა, ლ		368	

DIFFERENT BODY. SAME HEART.

განსხვავებული კორპუსი. იგივე შიგთავსი

მემკვიდრეობა, რომელსაც ნაკლებად თუ ჰყავს კონკურენტები, რენოს RS27 ძრავამ საძირკველი ჩაუყარა ფორმულა ერთის ბევრ გამარჯვებას. რენოს ყველა მოდელში დევს იგივე ტექნოლოგია, რაც ამოძრავებს ფორმულა ერთის ავტომობილებს. მიანიჭეთ საკუთრ თავს დაუვიწყარი გამოცდილება და ჩინებული ენერგია.



ძარის ფერები

თეთრი ყინული
(OV 369)

ფერფლისფერი
ბეჟი (TE HNK)

ალუბლისფერი
(TE NNJ)

ნაცრისფერი
კასიოპეა (TE KNG)


ნაცრისფერი პლატინა
(TE D69)

ლურჯი დაისი
(NV 472)

შავი მარგალიტი
(NV 676)

OV — არაგამჭირვალე საღებავი; TE — მეტალიზირებული საღებავი; NV — სადაფისებური ლაკის საღებავი.

გაბარიტული ზომები



საბარგო განყოფილების ზომა (ISO - ს ნორმების მიხედვით), ლ		368
საერთო ზომები, მმ		
A	ბორბლების ბაზა	2641
B	გაბარიტული სიგრძე	4295
C	წინა დაკიდება	860
D	უკანა დაკიდება	793
E	დაშორება წინა ბორბლებს შორის	1546
F	დაშორება უკანა ბორბლებს შორის	1547
G	სიგანე გახსნილი/მოკეცილი გვერდითი სარკეებით	1808/2037
H	სიმაღლე დატვირთვის გარეშე	1471
J	საბარგულის ზღურბლის სიმაღლე დატვირთვის გარეშე	572
K	კლირენსი დატვირთვით	120
M	სალონის სიგანე წინა სავარძლებზე იდაყვების დონეზე	1480
M1	სალონის სიგანე უკანა სავარძლებზე იდაყვების დონეზე	1418
N	სალონის სიგანე წინა სავარძლებზე მხრების დონეზე	1420
N1	სალონის სიგანე უკანა სავარძლებზე მხრების დონეზე	1363
P	მანძილი კარის ზედა წერტილიდან წინა სავარძლების ბალიშებამდე	892
Q	მანძილი კარის ზედა წერტილიდან უკანა სავარძლების ბალიშებამდე	884
Y1	საბარგულის შიდა სიგანე	1010
Y2	შიდა სიგანე საბორბლე თაღებს შორის	1113
Z	ჩატვირთვის სიმაღლე	575
Z2	სიმაღლე უკანა თაროს ქვეშ	549
Z3	უკანა სავარძლის მიღმა ჩატვირთვის სიგრძე	848

კომფორტი და ტექნოლოგიები

1–2. ორ-ზონიანი კლიმატის კონტროლი ჰაერის მიმყვანებით უკანა სავარძლების მგზავრებისთვის
უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ტემპერატურულ რეჟიმს როგორც მძღოლისთვის, ისე წინა სავარძლის მგზავრისთვის. რეჟიმი Soft საშუალებას მოგცემთ მსუბუქად დაარეგულიროთ სალონის ტემპერატურა, ხმაურის დაბალი ხარისხით. რეჟიმი Auto უზრუნველყოფს ტემპერატურის დაბალანსებულ მართვას. რეჟიმი Fast უზრუნველყოფს მთელი სალონის სწრაფ ვენტილაციას.

3. უკანა ხედვის შიდა სარკე ელექტროქრომული დაფარვით
მინით დაფარული ნაწილი თანდათანობით მუქდება განათების ზრდისას, რაც ხელს უწყობს მძღოლისთვის ხილვადობის გაუმჯობესებას.

4. ჩიპ-ბარათი „თავისუფალი ხელების“ ფუნქციით
ავტომობილი თავად ავლენს ბარათის არსებობას. კარებების გახსნა და დახურვა ავტომატურად ხდება. ძრავის გაშვებისთვის საკმარისია დააჭიროთ ღილაკს „სტარტ/სტოპ“, წამკითხველში ბარათის ჩადების გარეშე.

5. დასაკეცი გასაღები
მოსახერხებელი ფორმის პრაქტიკული და ელეგანტური დასაკეცი გასაღები 3 ღილაკით და საბარგულის დამოუკიდებელი გახსნა/ჩაკეტვის ფუნქციით.

6. კრუიზ-კონტროლი მართვის ორგანოებით საჭის ბორბალზე
საშუალებას მოგცემთ მიუთითოთ მუდმივი ან შეზღუდოთ მაქსიმალური მოძრაობის სიჩქარე. არჩეული სიჩქარის კორექტირება შესაძლებელია საჭის ბორბალზე განლაგებული ღილაკით.

7. აუდიოსისტემა 3D SOUND BY ARKAMYS® C PLUG & MUSIC

აუდიოსისტემის მიერ ჟღერადობის ციფრული დამუშავების წყალობით, დინამიკები გამოსცემენ მაღალი ხარისხის, მოცულობით ჟღერადობას. Plug & Music საშუალებას მოგცემთ მიუერთოთ ციფრული ფლეერი USB ან IPod პორტებს და მართოთ სისტემა საჭის რგოლის ქვეშ განლაგებული დისტანციური მართვის პულტით.

8. ნავიგაციის სისტემა CARMINAT TOM TOM®
დიდი ფერადი ეკრანი (დიაგონალი 14,7 სმ), კომფორტული განლაგება ხელსაწყოების პანელის ქვეშ უზრუნველყოფს ოპტიმალურ ვიზუალურ კონტაქტს „ეკრანი – გზა“, 3 სახეობის ბარათი ინტერნეტის მეშვეობით განახლების შესაძლებლობით.

საბარგო განყოფილებები

1

1. საბარგული
საბარგულის მოცულობა - 368 ლ.

2. ხელსაწყოების პანელის სათავსო ყუთი
დიდი მოცულობის სათავსო ყუთი განათებით და გაგრილების სისტემით, მოდიფიკაციის მიხედვით.

3. ცენტრალური კონსოლის სათავსო
პრაქტიკული და კომფორტულია მძღოლისა და წინა სავარძლის მგზავრისთვის.

4. კარის სათავსოები
წინა და უკანა კარებებში განლაგებული არიან სათავსოები, რომლებშიც შეგიძლიათ შეინახოთ კომპაქტ-დისკები, საგზაო რუკები, ხოლო წინა კარის სათავსოში ბოთლის ჩადგმა არის შესაძლებელი.

5. ჯიბეები წინა სავარძლების საზურგეებზე
თქვენ შეგიძლიათ შეინახოთ ჯიბეში საბუთები, წიგნები და ჟურნალები.

6. უკანა იდაყვის დასადები
უკანა სავარძლის მგზავრებისთვის გათვალისწინებულია იდაყვების დასადები ჭიქების დამჭერებით.

2

3

4

5


6

აქსესუარები

1

2

3

4

1. ტექსტილის ხალიჩები CONFORT EVOLUTION
ხალიჩები დამზადებული არიან მდგრადი და დრეკადი მასალისგან, ავტომობილის ორიგინალი ზომების შესაბამისად.

2. რეზინის ხალიჩები NOVESTRA
ახალი დიზაინი. 100%–ით შეესაბამებიან სალონის ორიგინალ ზომებს და ავტომობილის სამაგრ წერტილებს. წყალგაუმტარი მასალა ადვილად ირეცხება წყლის ქავლით. მძღოლის ხალიჩაზე განლაგებულია საქუსლე.

3. მრავალფუნქციური გადასატანი სათავსო
მონტაჟდება გადასატანი საფერფლის ადგილზე. საშუალებას მოგცემთ გაიჩეროთ ვერტიკალურ მდგომარეობაში უამრავი მცირე საგანი, მაგალითად მობილური ტელეფონი, MP3-ფლეერი.

4. საბარგულის ბადე-კონვერტი
გათვალისწინებულია მცირე საგნების შესანახად ვერტიკალურ მდგომარეობაში. ქმნის დამატებით განყოფილებას საბარგულში.

5. დეფლექტორები
სალონის განიავების თანამედროვე ტექნოლოგია. ადვილად მონტაჟდებიან უჟანგავი მეტალისგან დამზადებული კლიფსი-სამაგრების წყალობით (ხრახნების გარეშე). კომპლექტში ასევე შედის კლიფსების დასამაგრებელი მოწყობილობა.
6. ზღურბლების საფარები
ალუმინის იმიტაცია. ელეგანტური დაცვა კარის ზღურბლებისთვის მანქანაში ჩაჯდომისას.

7. შხეფების ამსხლეტები
იცავენ ძარის ქვედა ნაწილს ტალახით და ხრეშით დაზიანებისგან.

8. ალუმინის საბარგო ძელები TOURING LINE
აღჭურვილი არიან მოპარვის საწინააღმდეგო მოწყობილობით. სწრაფი და მარტივი მონტაჟი.

8–9

10

9. სახურავის დახურული საბარგული TOURING LINE
საბარგულის თავსახური იხსნება ორი მხრიდან. ღია თავსახურის შეკავების სისტემა ჩატვირთვის გაადვილებისთვის. ცენტრალიზებული საკეტი (3 წერტილი).

10. ფარკოპი COL-DE-CYGNE
კაუჭი მომრგვალებული თავით იხსნება სპეციალური ინსტრუმენტების მეშვეობით. მოწყობილობა განკუთვნილია ინტენსიური ექსპლუატაციისთვის.

შესრულების ვარიანტები

AUTHENTIQUE

შესრულების პრაქტიკულობა

სავარძლების მოპირკეთება მუქ ნაცრისფერ ტონალობაში. სერიულად კომპლექტდება კონდენციონერით, ფრონტალური უსაფრთხოების ბალიშებით მძღოლისა და მგზავრისთვის, წინა მინების ელექტრონული ამწევით, სიმაღლის მიხედვით რეგულირებადი მძღოლის სავარძლით, ასევე 15"დისკებით Kubera-ს დეკორატიული ხუფებით.



CONFORT

თანამედროვე და თავშეკავებული

სალონი გადაწყვეტილია მუქ ნაცრისფერ ფერთა გამაში. სერიულად კომპლექტდება ფრონტალური და წინა გვერდითი უსაფრთხოების ბალიშებით მძღოლისა და მგზავრისთვის, წინა და უკანა იმპულსური მინების ელექტრონული ამწევებით, თბობადი წინა სავარძლებით, დოიდური დღის სანათებით. ოფციურად შესაძლებელია აღჭურვა ორ-ზონიანი კლიმატის კონტროლით, ჰაერის მიმყვანებით უკანა სავარძლის მგზავრებისთვის.

EXPRESSION

გაზრდილი კომფორტი

შემოთავაზებულია სალონის მუქი ნაცრისფერი ფერთა გამა. სერიულად აღიჭურვება უსაფრთხოების 6 ბალიშით, ორ - ზონიანი კლიმატის კონტროლით, ჰაერის მიმყვანებით უკანა სავარძლის მგზავრებისთვის, წვიმის და სინათლის სენსორებით, ასევე CD/MP3 - აუდიოსისტემით, რომელიც იმართება საჭის რგოლის ქვეშ განლაგებული დისტანციური მართვის პულტიდან. ოფციურად შესაძლებელია აღჭურვა ჩიპ-ბარათით „თავისუფალი ხელების“ ფუნქციით და მსუბუქი შენადნობის დისკებით Kaleido 16".

DYNAMIQUE

პრესტიჟი და სპორტული სტილი

მსუბუქი შენადნობის დისკები Eptius 16" და პრიალა შავი შუა ღერძი ხაზს უსვამენ ავტომობილის სპორტულ სტილს. სავარძლების მოპირკეთება მუქ ნაცრისფერში არის შესრულებული. სერიულად მონტაჟდება უკანა ხედვის შიდა ელექტროქრომული სარკე, კრუიზ-კონტროლი, ჩიპ-ბარათი „თავისუფალი ხელების“ ფუნქციით. ოფციურად შემოთავაზებულია ESP, ბიქსენონის ფარები მოხვევის ელემენტით, CD/MP3-აუდიოსისტემა 3D Sound by Arkamys® ფუნქციებით Bluetooth და C-Box.

აღჭურვილობის ჩამონათვალი და ოფციები

ვერსია	Authentique	Expression	Dynamique
ძრავი (ლ), გადაცემათა კოლოფი	1.6 მექ.5	1.6 მექ.5/ CVT	2.0 CVT
დიზაინი			
ფოლადის დისკები 15" Kubera–ს დეკორატიული ხუფებით	•	•	—
მსუბუქი შენადნობის დისკები Eptius 16»	—	—	•
ინტერიერი			
მუქი–ნაცრისფერი ქსოვილის მოპირკეთება Papeete	•	—	—
მუქი–ნაცრისფერი ქსოვილის მოპირკეთება Boost	—	•	—
სავარძლების კომბინირებული მუქი–ნაცრისფერი მოპირკეთება Ted	—	—	•
ტყავით მოპირკეთებული საჭე	—	•	•
ტყავით მოპირკეთებული გადაცემათა კოლოფის სახელური	—	—	•
მართვა			
საჭის ადაპტირებადი ელექტროგამაძლიერებელი	•	•	•
საბორტო კომპიუტერი	•	•	•
კრუიზ–კონტროლი	—	—	•
განათება			
ჰალოგენის ფარები	•	•	•
ფუნქცია Follow me home (თანმხლები განათება)	—	—	•
ნისლის საწინააღმდეგო ფარები	—	•	•
დღის დიოდური სანათები	—	•	•
კომფორტი			
დასაკეცი გასაღები 3 ღილაკით	•	•	—
ჩიპ–ბარათი „თავისუფალი ხელების" ფუნქციით, ღილაკი „სტარტ–სტოპ" გასაღების ნაცვლად	—	—	•
მძღოლის სავარძლის რეგულირება სიმაღლის მიხედვით	•	•	•
წინა მგზავრის სავარძლის რეგულირება სიმაღლის მიხედვით	—	—	•
მძღოლის სავარძლის წელის მონაკვეთის რეგულირება	—	—	•
კონდენციონერი სალონის განიავების სისტემის ფილტრით	•	—	—
ორ–ზონიანი კლიმატის კონტროლი, ჰაერის მიმყვანებით უკანა სავარძლის მგზავრებისთვის	—	•	•
თბობადი წინა სავარძლები	—	•	•
რადიომომზადება, მიმყვანი წინა დინამიკებთან	•	•	•
CD/MP3-აუდიოსისტემა 4x15 ვტ + საჭის ქვეშ განლაგებული ჯოისტიკი	—	•	•
გვერდითი სარკეების ელექტრონული მართვა და გათბობა	•	•	•
გვერდითი სარკეების ელექტრონული დაკეცვა	—	—	•
წინა იმპულსური ელექტრონული მინის ამწევები	•	•	•
უკანა იმპულსური ელექტრონული მინის ამწევები	—	•	•
ელექტროქრომული სარკე	—	—	•
წვიმის და სინათლის სენსორები	—	•	•
წინა იდაყვის დასადები	—	•	•
უკანა იდაყვის დასადები ჭიქის საჭერებით	—	•	•
დასაკეცი უკანა სავარძლები, მიმართებაში 1/1	•	—	—
დასაკეცი უკანა სავარძლები, მიმართებაში ½–2/3	—	•	•
სათადარიგო ბორბალი 15''	•	•	•

ვერსია	Authentique	Expression	Dynamique
ძრავი (ლ), გადაცემათა კოლოფი	1.6 მექ.5	1.6 მექ.5/ CVT	2.0 CVT
უსაფრთხოება			
2 ფრონტალური უსაფრთხოების ბალიში (მძღოლის და მგზავრის)	•	•	•
2 წინა გვერდითი უსაფრთხოების ბალიში (მძღოლის და მგზავრის)	—	•	•
2 გასაბერი დარაბა	—	•	•
ABS ექსტრემალური დამუხრუჭებისას დამხმარე AFU სისტემით და დამუხრუჭების ძალის ელექტრონული გადანაწილებით EBD	•	•	•
მიულოდნელი დამუხრუჭებისას ავარიული სიგნალიზაციის ავტომატური ჩართვა	•	•	•
სიმაღლის მიხედვით რეგულირებადი წინა თავის მისაყუდებლები	•	•	•
3 სიმაღლის მიხედვით რეგულირებადი უკანა თავის მისაყუდებელი	—	•	•
სამწერტილიანი რეგულირებადი უსაფრთხოების ღვედები წინა სავარძლებზე, მომჭიმებით და ძალისხმევის მზღუდავებით	•	•	•
საბავშვო სავარძლების სამაგრი სისტემა Isofix	•	•	•
ავტომობილის დაცვა			
ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით	•	•	•
კარებების ავტომატური ჩაკეტვა მოძრაობისას	•	•	•
მწარმოებლის გარანტია – 3 წელი ან 100 000 კმ*			
ანტიკოროზიული დაცვა – მწარმოებლის 6 წლიანი გარანტია	•	•	•
ოფციური აღჭურვილობა			
„მეტალიკის" შეფერილობა	o	o	o
CD/MP3-აუდიოსისტემა 4x15 ვტ + საჭის ქვეშ განლაგებული ჯოისტიკი	o	—	—
თბობადი წინა სავარძლები	o	—	—
პაკეტი „კლიმატი":ორ–ზონიანი კლიმატის კონტროლი, ჰაერის მიმყვანებით უკანა სავარძლის მგზავრებისთვის + წვიმის და სინათლის სენსორები	—	—	—
ESP — კურსის მდგრადობის სტაბილიზაციის სისტემა	—	o	—
ჩიპ–ბარათი „თავისუფალი ხელების" ფუნქციით, ღილაკი „სტარტ–სტოპ" გასაღების ნაცვლად	—	o	—
მსუბუქი შენადნობის დისკები Kaleido 16"	—	o	—
CD/MP3-აუდიოსისტემა 4x30 ვტ + Bluetooth + საჭის ქვეშ განლაგებული ჯოისტიკი	—	o	—
პაკეტი ESP: კურსის მდგრადობის სტაბილიზაციის სისტემა ESP + ბიქსენონის ფარები მოხვევის ელემენტით + ფარების მრეცხავები	—	—	o
CD/MP3-აუდიოსისტემა 4x30 Вт 3D Sound by Arkamys® + Bluetooth + C-Box + საჭის ქვეშ განლაგებული ჯოისტიკი	—	—	o
ნავიგაციის სისტემა Carminat TOM TOM®	—	—	o

• = სერიული; — = არ არის შემოთავაზებული. *რომელიც პირველი შესრულდება.